



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2012 წლის 6 ივლისის
 № 733 დადგენილებით
 მოდიფიცირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2023 წლის 28 აპრილის
 № 01-05-04/59 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

არქიტექტურათმცოდნეობა

Architectural Studies

ფაკულტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

Faculty of Architecture, Urban Planning and Design

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი მაია დავითაია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი
 (Doctor of Art History and Theory)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის 45 კრედიტის და კვლევითი კომპონენტის შესრულების შემთხვევაში.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 3 წელს.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ხელოვნების, არქიტექტურის ან მათი მონათესავე დარგების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს: კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება; ასევე, ინგლისური ენის B2

დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ს საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება. ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <https://gtu.ge/Science/doctorantura.php>

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. პროგრამაზე ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამის აღწერა

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით ECTS სისტემით; 1 კრედიტი შეესაბამება 25 აკადემიურ საათს და მოიცავს, როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების განაწილება მოცემულია სასწავლო გეგმაში.

პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი).

სასწავლო კომპონენტის ამოცანებია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური მომზადება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად. სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით მომზადებაში, მომავალ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 45 კრედიტს.

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ-გვერდზე: <https://gtu.ge/Orders/>

სასწავლო კომპონენტი ხორციელდება I-II სემესტრებში და მისი შემადგენელი, სემესტრებზე გადანაწილებით, მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის ეტაპებია: კვლევის პროექტი/პროსპექტუსი, კოლოკვიუმი - 1, კოლოკვიუმი - 2, კოლოკვიუმი - 3, წინასწარი დაცვა და დისერტაციის დასრულება-დაცვა. კვლევითი კომპონენტის ეტაპების შესრულების რიგითობის დაცვა არის სავალდებულო და თითოეული ეტაპის შესრულება წარმოადგენს შემდგომის წინაპირობას.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე:

https://gtu.ge/Science/Doctorate_Department.php

პროგრამის მიზანი

სადოქტორო პროგრამა „არქიტექტურათმცოდნეობის“ მიზანია:

- მოამზადოს მაღალი დონის მკვლევარი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში, არქიტექტურათმცოდნეობის მიმართულებით, რომელიც მოიცავს მსოფლიო არქიტექტურის განვითარების ძირითად პროცესებს, სტილისტური მახასიათებლების ევოლუციას და ცვლილებას, არქიტექტურული სკოლების თავისებურებებს, ეროვნულ

და რეგიონალურ ტენდენციებს, ცალკეული არქიტექტორებისა და ხელოვანთა შემოქმედებას და მუშაობის მეთოდებს; ასევე არქიტექტურულ კრიტიკას, არქიტექტურული შემოქმედების თანამედროვე ნაწარმოებების ახსნასა და შეფასებას;

- შესძინოს კურსდამთავრებულს სფეროს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებით, არქიტექტურათმცოდნეობის მიმართულებით წარმოქმნილი პრობლემებისა და უმნიშვნელოვანესი საკითხების წამოჭრის, ინოვაციური კვლევის განხორციელების, სიღრმისეული მეცნიერული შესწავლა-გაანალიზების, დასაბუთებული დასკვნების გამოტანისა და საზოგადოების წინაშე აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის დაცვით წარდგენის უნარი;
- შესძინოს კურსდამთავრებულს აკადემიური/პედაგოგიური საქმიანობის შესაბამისი უნარები სფეროს მკვლევართა საზოგადოებაში თავისუფლად ინტეგრაციისათვის.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. **აღწერს** მსოფლიო არქიტექტურის განვითარების ძირითად პროცესებს, სტილისტური მახასიათებლების ევოლუციას და ცვლილებას, არქიტექტურული სკოლების თავისებურებებს, ეროვნულ და რეგიონალურ ტენდენციებს, ცალკეული არქიტექტორებისა და ხელოვანთა შემოქმედებას და მუშაობის მეთოდებს.
2. არქიტექტურათმცოდნეობის მიმართულებით არსებულ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით **ახდენს** სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესში ინოვაციური მეთოდების გამოყენებას, არქიტექტურული შემოქმედების თანამედროვე ნაწარმოებების ახსნას, შეფასებასა და კრიტიკას.
3. სფეროს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებით ინოვაციური მეთოდებით **ავლენს** არქიტექტურათმცოდნეობის მიმართულებით წარმოქმნილ პრობლემებსა და უმნიშვნელოვანეს საკითხებს.
4. დამოუკიდებლად **ახორციელებს** არქიტექტურის თეორიის მიმართულებით ინოვაციურ კვლევებს სიღრმისეული მეცნიერული შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე.
5. ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნებით **აყალიბებს** დასაბუთებულ დასკვნებს და **შეიმუშავებს** არქიტექტურასთან მიმართებაში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზებს.
6. ახალი ცოდნის შეძენაზე ორიენტირებით, სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის დაცვით **წარმოაჩენს** განხორციელებული სამეცნიერო კვლევის შედეგებს საზოგადოების წინაშე, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ ფორუმებში, კონფერენციებში, თემატურ დისკუსიებში და რეფერირებად სამეცნიერო პუბლიკაციებში.
7. დამოუკიდებლად **წარმართავს** შესაბამისი მიმართულებით პედაგოგიურ მოღვაწეობას, სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდებით მეცადინეობების ჩატარებას.
8. **იცავს** ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებს, პროფესიულ ღირებულებებსა და ეთიკის მიღებულ ნორმებს.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკა ლაბორატორიული
 სამეცნიერო-თემატური სემინარი დამოუკიდებელი მუშაობა კონსულტაცია
 კვლევითი კომპონენტი დისერტაციის გაფორმება დისერტაციის დაცვა

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი ქვემოთ მოცემული აქტივობები,

რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. დისკუსია/დებატები;
2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
3. შემთხვევების შესწავლა;
4. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია;
5. დემონსტრირება;
6. წერითი მუშაობა;
7. ანალიზი;
8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
9. გონებრივი იერიში (Brain storming);
10. ინდუქცია;
11. დედუქცია;
12. სინთეზი;
13. სიმულაციური, როლური თამაშები;
14. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი სწავლება;
15. ახსნა-განმარტება;
16. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ

მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო საბჭოში დოქტორანტის მიერ საბუთების წარდგენის შემდეგ, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის – Strikeplagiarism.com-ის ოპერატორს სადისერტაციო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შესამოწმებლად. პლაგიატის არარსებობის (დადებითი შეფასების) შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი ფასდება დადებითად, თუ:

- ა. მსგავსების კოეფიციენტი 1 არ აღემატება 50%-ს (5-სიტყვიანი წინადადება);
- ბ. მსგავსების კოეფიციენტი 2 არ აღემატება 5%-ს (25-სიტყვიანი წინადადება).

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი მოცემულია ბმულზე:

https://gtu.ge/Science/Doctorate_Department.php

დასაქმების სფერო

სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-საგანმანათლებლო ორგანიზაციები;
კერძო არქიტექტურული კომპანიები;
მუნიციპალური არქიტექტურის სამსახურები;
ძეგლთა დაცვის ორგანოები;
მასმედიის საშუალებები და საგამომცემლო ორგანიზაციები;
ტურისტული კომპანიები;
მუზეუმები.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსით. პროგრამის განმახორციელებელი 11 აკადემიური პერსონალი - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსის) ავტორები და დოქტორანტების ხელმძღვანელები გამოირჩევიან მაღალი ხარისხის სამეცნიერო და აკადემიური გამოცდილებით.

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით: სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სათანადო ტექნიკით უზრუნველყოფილი აუდიტორიები, მულტიმედიური პროექტორების ლაბორატორია და არქიტექტურული განათლების ხელშემწყობი სასწავლო-სამეცნიერო და საპროექტო ცენტრი, არქიტექტურული პოეტიკის სტუდია. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების პროგრამებით (სილაბუსებით) გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული მონოგრაფიებით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

დამატებითი ინფორმაცია პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ მოცემულია თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 9

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი						
			I წელი		II წელი		III წელი		
			სემესტრი						
			I	II	III	IV	V	VI	
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	არ აქვს	4						
2	სწავლების მეთოდები	არ აქვს	6						
3	არქიტექტურის ნალექი	არ აქვს	5						
4	არჩევითი საგნები								
4.1	არქიტექტურაში კოდები და ნიშნები	არ აქვს	5						
4.2	რეგიონალიზმის გლობალური პირობა	არ აქვს							
5	სახელოვნებათმცოდნეო კვლევის მეთოდები არქიტექტურასთან მიმართებაში	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა		5					
6	მიმდინარე ქართული არქიტექტურის განსხვავებული სახე	არ აქვს		5					
7	ფორმა სიბრტყეზე-ავანგარდი	არ აქვს		5					
8	პროფესორის ასისტენტობა (არქიტექტურათმცოდნეობა)	სწავლების მეთოდები		10					
	სასწავლო კომპონენტი სემესტრში:		20	25					
	სასწავლო კომპონენტი სულ:		45						
	კვლევითი კომპონენტი:		-						

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ECTS კრედიტი/საათი	საათი						
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკა	საკურსო /სამუშაო პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	EDU10312G1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	4/100	15	15			2	4	64
2	EDU10912G1	სწავლების მეთოდები	6/150	30	30			2	2	86
3	HEL28306G1	არქიტექტურის ნალექი	5/125	15	30			2	1	77
4.1	ART33206G1	არქიტექტურაში კოდები და ნიშნები	5/125	15	30			1	1	78

4.2	ART33306G1	რეგიონალიზმის გლობალური პირობა	5/125	15	30			1	1	78		
5	ART33406G1	სახელოვნებათმცოდნეო კვლევის მეთოდები არქიტექტურასთან მიმართებაში	5/125	15	30			1	1	78		
6	ART33506G1	მიმდინარე ქართული არქიტექტურის განსხვავებული სახე	5/125	15	30			1	1	78		
7	ART33606G1	ფორმა სიბრტყეზე-ავანგარდი	5/125	15	15	15	30	1	1	78	1	1
8	ART33706G1	პროფესორის ასისტენტობა (არქიტექტურათმცოდნეობა)	10/250			75		1	1	173		

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

მაია დავითაია

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო ხაბეიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ნინო იმნაძე

მიღებულია

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, 3 ივლისი 2012 წელი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

მოდირიგებულია

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ოქმი N11 21 აპრილი 2023 წელი
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ნინო იმნაძე